სამიზნე ცნება:	ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი
შედეგები:	ქიმ.საბ.3, 9
საკითხი:	ელემენტები, ვერცხლისწყალი, ტოქსიკურობა

კომპლექსური დავალების პირობა:

ვერცხლისწყალი ერთ-ერთი ყველაზე ტოქსიკური ელემენტია. ის შეიძლება დაიღვაროს ჩაკეტილ სივრცეში (მაგალითად, ოთახში ან ლაბორატორიაში) სხვადასხვა ხელსაწყოს (თერმომეტრების, მანომეტრების, ულტრაიისფერი ნათურების და სხვ.) გატეხვის ან დაზიანების შემთხვევაში, რითაც დიდ საფრთხეს შეუქმნის იქ მყოფ ადამიანებს.

მოიძიეთ სათანადო ინფორმაცია ⬇ და მოამზადეთ პრეზენტაცია, რომელშიც თვალ-საჩინოდ წარმოაჩენთ:

- რა ფიზიკური და ქიმიური თვისებებით გამოირჩევა ვერცხლისწყალი?
- გარეგნულად როგორ უნდა მივხვდეთ, შეიცავს თუ არა ვერცხლისწყალს თერმომეტრი?
- რატომ არის საშიში ვერცხლისწყლის დაღვრა? როგორ შეიძლება მოხვდეს ის ადამიანის ორგანიზმში?
- რა დაავადებებს იწვევს ვერცხლისწყლით მოწამვლა?
- როგორ არ უნდა მოვიქცეთ, თუ ოთახში ვერცხლისწყალი დაიღვარა?
- რა მეთოდებით შეიძლება დაღვრილი ვერცხლისწყლის შეგროვება?

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

რესურსები

- ვერცხლისწყალი
- დაღვრილი ვერცხლისწყლის შეგროვების მეთოდები:
  - ბმული 1
  - ბმული 2 (ვიდეო)
  - ბმული 3
  - ბმული 4
  - ბმული 5

რეკომენდაციები შეფასებისათვის

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

- რამდენად სრულყოფილად არის საკითხი გაშუქებული;
- რამდენად ზუსტად არის კითხვებზე გაცემული პასუხები;
- გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება;
- პრეზენტაციის გაფორმების კულტურა.